# ოქმი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2018 წლის 26 თებერვალი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. როლანდი სერგია
7. გია წულაია
8. გოჩა ჯობავა
9. ლაშა ცატავა
10. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

**დღის წესრიგი:**

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის №03/872 და 2018 წლის 26 თებერვლის №03/893 წერილების განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტების შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 თებერვლის №03/784 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის №03/902 წერილის განხილვა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დამატების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
**კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 10**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

## დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის №03/872 და 2018 წლის 26 თებერვლის №03/893 წერილების განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტების შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერის წერილები, სადაც მერია განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოცემულია სამართლებრივი დასკვნა, რომლითაც მართებულად არის მიჩნეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46-53 დადგენილებების პრეამბულაში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ასევე, დადგენილებების ძალაში შესვლა დაკავშირებული იყოს კონკრეტულ კალენდარულ დღესთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რაც შეეხება დადგენილების პროექტს „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე მართებულად იქნა მიჩნეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილების პრეამბულაში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ასევე, დადგენილების ძალაში შესვლა დაკავშირებული იყოს კონკრეტულ კალენდარულ დღესთან. დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული რეგულაციები შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც მოხელის ფუნქციის დაკისრების შესაძლებლობა გარდა პროფესიული საჯარო მოხელეებისა, ასევე გავრცელდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხების გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნებთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
**კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 10**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტები განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 თებერვლის №03/784 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერის წერილი, სადაც განმარტავს, რომ მერიაში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსების ორგანიზებისთვის მიმდინარე სამუშაოების პროცესში წარმოიშვა ვაკანსია მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში. სამსახურის უფროსის წინადადების შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამსახურში არსებული თანამდებობების იერარქიული კუთვნილებისა და თანამდებობის დასახელების ცვლილება და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად დაკორექტირდა ცალკეულ თანამდებობათა იერარქიული კუთვნილება და თანამდებობის დასახელება, კერძოდ: მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მონიტორინგისა კონტროლის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა გარდაიქმნა მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად, ხოლო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების შიდა აუდიტის საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
**კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 10**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის №03/902 წერილის განხილვა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დამატების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს:** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერის წერილი, რომელშიც მერია განმარტავს, რომ ვინაიდან ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა ასევე განსაზღვრულია მერიის დებულებით, მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტის დანართი №1-ის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში არსებულ ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჩ“ ქვეპუნქტი: „ჩ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების 37-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი დამატების შეტანა დადგენილების პროექტში და ცვლილების გათვალისწინებით საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
**კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი**
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 10**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია